

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური პერსონალის კვლევა სამეცნიერო პროდუქტიულობის
შეფასების სისტემასთან დაკავშირებით

(თ ვ ი თ შ ე ფ ა ს ე ბ ა)

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, ისევე როგორც ზოგადად საგანმანათლებლო სივრცეში, თანამედროვე უმაღლესი განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს უნივერსიტეტის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების ჩართულობა.

უნივერსიტეტის ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების სპეციალისტებმა 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩაატარეს კვლევა აკადემიური პერსონალის მიერ გასული აკადემიური წლის - 2019-2020 სასწავლო წლის მანძილზე შესრულებული „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემასთან (თვითშეფასება) დაკავშირებით“, რომელიც შემდგომი განხილვისა და რეაგირებისათვის გაეგზავნა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარი, რომლის საშუალებითაც მოხდა პერსონალის კმაყოფილების კვლევა მათი პროდუქტიულობის შეფასების სისტემაში მოცემული კრიტერიუმებისა თვითშეფასების შესახებ.

კვლევა ითვალისწინებდა აკადემიური პერსონალის მოსაზრებებისა, თუ საჭიროებების გამოვლენას, შემდგომ მუშაობაში გათვალისწინებას მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეწყობის მიზნით.

თვითშეფასების კვლევა სავალდებულოა, საკვლევი აუდიტორია - აკადემიური პერსონალი ინფორმირებულია კვლევის მიზნების, ამოცანებისა და შედეგების შეფასების საჭიროებასთან დაკავშირებით, რადგან თვითშეფასების კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ბიზნესპროცესების უწყვეტობაში. თვითშეფასების ფორმა დანერგილი და აპრობირებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობაში.

კვლევის მეთოდოლოგია:

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია კვლევებისათვის საჭირო კითხვარები. დანერგილია მათი დამუშავებისა და შედეგების

განხილვის მეთოდოლოგია, რადგან კითხვარი ყოველთვის რესპოდენტის ცხოვრებაში შეჭრაა და რესპოდენტი ითვლება ინფორმაციის აქტიურ მომწოდებლად, ამიტომ დაცული უნდა იყოს რესპოდენტის/რესპოდენტების ანონიმურობა.

კითხვარების დამუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს წინასწარ შედგენილ კითხვებზე მიღებული პასუხების სტატისტიკურ დამუშავებას, შედეგების გაანალიზებას, საჭიროების შემთხვევაში მონაცემების დაზუსტებას (შეხვედრები რესპოდენტთან, ჩაღრმავებული ინტერვიუები/გამოკითხვები), დასკვნების გამოტანას, რეკომენდაციების შემუშავებას, შესაბამისი სამსახურის ან/და პერსონალის ინფორმირებულობას და უკუკავშირისთვის რეაგირებას. PDCA ციკლის უწყვეტობისთვის კვლავ ხდება სარეკომენდაციოდ გაცემული საკითხების შესრულებაზე მონიტორინგი, პრობლემის ან საკითხის საბოლოოდ გადაჭრამდე.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები. ამ მიზნით სისტემტურად ახლდება სტრუქტურირებული და ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარების მატრიცა.

კვლევა ითვალისწინებს:

- კვლევის მიზნის, ამოცანის იდენტიფიცირებას. მიგნებების გამოკვეთას, დასკვნების გამოტანასა და რეკომენდაციების შემუშავებას.
- ინსტიტუციური ხასითის ზოგადი მიგნებების დადარებას გასული წლის კვლევებსა და შემდგომ ეტაპზე დაგეგმილ კვლევებთან (კერძოდ, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება).
- ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას;
- ძლიერი მხარეების შენარჩუნებასა და გასაუმჯობესებელი მხარეებისთვის რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავებას;
- შესაბამისი საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულებისათვის კვლევების შედეგების, მიგნებებისა და დასკვნების გაცნობა შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად.
- კვლევების შედეგების განთავსებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხარისხის უზრუნველყოფის ფანჯარაში.

კვლევის მიზანია:

1. უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვლევა სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემასთან დაკავშირებით;
2. აკადემიური პერსონალის საჭიროებების გამოკვეთა მათი სასწავლო-სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლებისთვის;
3. აკადემიური პერსონალის თვითშეფასების მაჩვენებლის განსაზღვრა;
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან მიგნებების გამოკვეთა;
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან დასკვნების გაკეთება;

6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდაციების შემუშავება და ფაკულტეტების ინფორმირებულობა.

კვლევის ამოცანა:

- პერსონალი ინფორმირებულია თუ არა უნივერსიტეტში არსებული საერთაშორისო პროექტების/პროგრამების შესახებ?
- პერსონალი ინფორმირებულია თუ არა უნივერსიტეტის მხრიდან კვლევითი საქმიანობის წახალისებისათვის არსებული მექანიზმების შესახებ?
- გისარგებლიათ თუ არა უნივერსიტეტის მხრიდან კვლევითი საქმიანობის წახალისებისათვის არსებული მექანიზმებით?
- პერსონალი ინფორმირებულია თუ არა უნივერსიტეტის მხრიდან მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში სტატიების მომზადებისა და გამოქვეყნების სტანდარტების შესახებ?
- პერსონალს მოპოვებული აქვს თუ არა სამეცნიერო გრანტი ან/და შიდა გრანტი?
- პერსონალი მონაწილეობდა თუ არა ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის მიერ გაზაფხულის სემესტრში დაგეგმილ სამეცნიერო ღონისძიებებში?
- პერსონალს აქვს თუ არა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტისაგან მხარდაჭერა სამეცნიერო პროდუქციის ბეჭდვაში?
- დაასახელეთ კონკრეტულად რა სახის ტრენინგები გჭირდებათ თქვენი კვალიფიკაციის ასამაღლებლად?
- მიუთითეთ, თქვენი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, კონკრეტულად რომელ ოფიციალურ დაწესებულებებში გჭირდებათ მივლინება (წინამორბედი გამოკითხვის შედეგების დასაზუსტებლად)?
- უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის სასწავლო-სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა. რამდენად კმაყოფილი ხართ შეფასების აღნიშნული ფორმით?
- რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი სავალდებულო აკადემიური დატვირთვით (სხვა მოსაზრება ხომ არ გააჩნიათ)?
- აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასებისთვის ხომ არ გსურთ დამატებითი მოთხოვნების განსაზღვრა, ან რაიმე ცვლილება?
- როგორ შეაფასებდით თქვენს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემის მიხედვით (ერთიდან ხუთ ქულამდე)?
- მონაწილეობთ თუ არა სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებულ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებში, რომელიც ეხება ბიბლიომეტრული ბაზების გამოყენებას?
- მიუთითეთ თქვენი სასწავლო კურსის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საჭიროების შესახებ.
- გთხოვთ, დამატებით მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები.

კვლევაში მონაწილეობდა:

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 7 პროფესორი, 22 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტ-პროფესორი;
- იურიდიული ფაკულტეტის 1 პროფესორი და 5 ასოცირებული პროფესორი;
- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის 7 პროფესორი და 10 ასოცირებული პროფესორი;
- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 3 პროფესორი და 5 ასოცირებული პროფესორი.

კვლევაში მონაწილეობა არ მიუღია უცხოეთში სამუშაო ვიზიტით მყოფ ორ პროფესორს.

გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონულად. სტრუქტურირებულ კითხვებზე აკადემიური პერსონალის მხრიდან დაფიქსირდა შემდეგი მონაცემები:

1) ხართ თუ არა ინფორმირებული უნივერსიტეტში არსებული საერთაშორისო პროექტების/პროგრამების შესახებ?

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
 - ინფორმირებული ვარ - 28
 - არ ვარ ინფორმირებული - 3
- იურიდიული ფაკულტეტი;
 - ინფორმირებული ვარ - 5
 - არ ვარ ინფორმირებული - 1
- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი;
 - ინფორმირებული ვარ - 15
 - არ ვარ ინფორმირებული - 2
- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.
 - ინფორმირებული ვარ - 8
 - არ ვარ ინფორმირებული - 0

მიგნება:

პირველ კითხვასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა 62 პერსონალმა, რომლის 90,4 %-მა აღნიშნავს - ინფორმირებულია, ხოლო 9,6 %- არ არის ინფორმირებული. უნივერსიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის სპეციალისტი უნივერსიტეტის ვებგვერდზე სისტემატურად აქვეყნებს ინფორმაციას საერთაშორისო სასწავლო პროგრამების, სტუდენტთა, თუ აკადემიური პერსონალის მობილობის შესახებ, საკონკურსო პირობებს და სხვ. გასული აკადემიური წლის კვლევაში აღნიშნული კითხვა უკვე ცნობილი იყო აკადემიური პერსონალისთვის. დაინტერესების შემთხვევაში შეეძლოთ ინფორმაციის მიღება საზღვარგარეთთან ურთიერთობის სპეციალისტისგან.

2) ხართ თუ არა ინფორმირებული უნივერსიტეტის მხრიდან კვლევითი საქმიანობის წახალისებისათვის არსებული მექანიზმების შესახებ?

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
 - ინფორმირებული ვარ - 25
 - არ ვარ ინფორმირებული - 4
 - მოსაზრება არ დააფიქსირა - 3
- იურიდიული ფაკულტეტი;
 - ინფორმირებული ვარ - 5
 - არ ვარ ინფორმირებული - 1
- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი;
 - ინფორმირებული ვარ - 14
 - არ ვარ ინფორმირებული - 3
- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.
 - ინფორმირებული ვარ - 8
 - არ ვარ ინფორმირებული - 0

მიგნება:

გამოკითხულთა 85%-მა დადებითი პასუხი გასცა, 15%- უპასუხა, რომ არ არის ინფორმირებული. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობასთან დაკავშირებული წესებისა და რეგულაციების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე დოკუმენტებში: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, კვლევითი საქმიანობის კონცეფცია, რომელიც მეილის საშუალებით გაეგზავნა თითოეული ფაკულტეტის პერსონალს. უნივერსიტეტს ჰყავს პრორექტორი და უფროსი სპეციალისტი სამეცნიერო მიმართულებით, დაინტერესების შემთხვევაში აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ინფორმაციის მოპოვება შეუძლია აღნიშნული სამსახურის სპეციალისტთანაც.

3) გისარგებლიათ თუ არა უნივერსიტეტის მხრიდან კვლევითი საქმიანობის წახალისებისათვის არსებული მექანიზმებით?

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
 - მისარგებლია - 26
 - არ მისარგებლია - 5
- იურიდიული ფაკულტეტი;
 - მისარგებლია - 3
 - არ მისარგებლია - 3
- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი;
 - მისარგებლია - 8
 - არ მისარგებლია - 9

კომენტარი:

1. რომში კონფერენციაზე ვიყავი მივლინებული

- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.
- მისარგებლია - 6
- არ მისარგებლია - 2

მიგნება:

კვლევაში მონაწილე 62 პერსონალიდან 17 აფიქსირებს, რომ უნივერსიტეტის მხრიდან კვლევითი საქმიანობის წახალისებისათვის არსებული მექანიზმებით არ უსარგებლია, მაგრამ კონკრეტული მიზეზი, თუ რატომ არ უსარგებლია, არ არის მითითებული. მომდევნო კითხვების პასუხებიდანაც ირკვევა, რომ უნივერსიტეტს აქვს სამეცნიერო გამოცემები, სადაც უნივერსიტეტის პერსონალს სტატიებს უფასოდ უბეჭდავენ.

4) ხართ თუ არა ინფორმირებული უნივერსიტეტის მხრიდან მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში სტატიების მომზადებისა და გამოქვეყნების სტანდარტების შესახებ?

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;

- ინფორმირებული ვარ - 24
- არ ვარ ინფორმირებული - 3

- იურიდიული ფაკულტეტი;

- ინფორმირებული ვარ - 5
- არ ვარ ინფორმირებული - 1

- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი;

- ინფორმირებული ვარ - 15
- არ ვარ ინფორმირებული - 2

- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.

- ინფორმირებული ვარ - 8
- არ ვარ ინფორმირებული - 0

მიგნება:

აკადემიური პერსონალის 91% ინფორმირებულია უნივერსიტეტის მხრიდან მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში სტატიების მომზადებისა და გამოქვეყნების სტანდარტების შესახებ, მხოლოდ 9% მიუთითებს, რომ არ არიან ინფორმირებული.

5) გაქვთ თუ არა მოპოვებული სამეცნიერო გრანტი ან/და შიდა გრანტი?

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;

- დიახ -7
- არა - 24

კომენტარი:

1. შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტი [1) 2017-2019 წწ. № FR17_89; 2) 2013-2015წწ. №019-08; 3) 2008-2009 წწ. №019-08]
2. 2018 წლის უნივერსიტეტის საგრანტო კონკურსში გავიდა ჩვენი პროექტი „სადაზვერვო არქეოლოგიური ექსპედიცია ასპინძის მუნიციპალიტეტში“). პროექტი განხორციელდა 2018 წელს.
3. 2018 წლის უნივერსიტეტის საგრანტო კონკურსში გავიდა ჩვენი პროექტი „სადაზვერვო არქეოლოგიური ექსპედიცია ასპინძის მუნიციპალიტეტში“). პროექტი განხორციელდა 2018 წელს.

■ **იურიდიული ფაკულტეტი;**

- დიახ - 1
- არა - 5

კომენტარი:

1. აშშ საელჩოს მცირე გრანტების პროგრამა 2007-2008 წ. ”კორუფციის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება”

■ **ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი;**

- დიახ - 0
- არა - 17

■ **ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.**

- დიახ - 5
- არა - 3

კომენტარი:

1. ორი შიდა გრანტი მაქვს სხვადასხვა წელს მოპოვებული, რომლის მოშაობაში ჩართული ვიყავით როგორც თანამშრომლები ისე სტუდენტები.
2. რუსთაველის ფონდის 2013-15 წწ. სახელწოდება: ბიოსისტემების მათემატიკური მოდელირება და მისი გამოყენება ციტრუსების ინტეგრირებულ დაცვაში; პროექტის/ხელშეკრულების № 11/25.

მიგნება:

გამოკითხული 62 აკადემიური პერსონალიდან გრანტები/შიდა გრანტები მოპოვებული აქვს 17 პერსონალს. შესაძლებელია ეს მონაცემები რამდენჯერმე გაიზარდოს პერსონალის ხელახლა ინფორმირების საფუძველზე. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კვლევითი საქმიანობის კონცეფცია, რომელშიც დეტალურად არის განმარტებული გრანტის მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო გრანტებთან ერთად უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი აქტიურად ჩართულია საერთაშორისო სასწავლო გრანტებშიც, რომელსაც მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიშები ასახავს

6) მიიღეთ თუ არა მონაწილეობა ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის მიერ შემოდგომის/გაზაფხულის სემესტრში დაგეგმილ სამეცნიერო ღონისძიებებში?

■ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;

■ დიახ -27

■ არა - 4

კომენტარი:

1. 28-29.09. 2019 წელი.“დედა და დედაკაცი“ ტერმინებისათვის.“ ახალციხე. რესპუბლიკური ონომასტიკური კონფერენცია - „თანამედროვე ონომასტიკური პრობლემები.“
2. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილი პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო ვიდეო კონფერენცია, ახალციხე, 2020, მაისი, პოზიცია - მომხსენებელი, თემა: „ქართული ლეგიონი“ ოსმალეთში (1915–1917).
3. 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში მონაწილეობა მივიღე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ - მასწავლებელთა ვიდეოკონფერენციაში მოხსენება:, - „ეპიდემიებთან ბრძოლის ტრადიციული და თანამედროვე საშუალებები“
7. 2020 წელს ვმონაწილეობდი ზამთრის სკოლა დიგიტალურ ჰუმანიტარიაში;
8. 2019 წელს ვმონაწილეობდი Workshop on „Formative Assessment Tools in HELs“, Soft Skills-SEL; Open Digital Badges(ODB); Reer/Self Assessment, Reflective Diary (12 Kours), ASSET-ERASMUS+Project 585587-EPP-1-2017-1-IL-EPPKA2-CBHE-JP(ჩატარდა ოთხი ვორქშოპი;
9. 2020 წლის 25 მაისს ვმონაწილეობდი განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო ონლაინ კონფერენციაში, რომელიც ეძღვნებოდა უნივერსიტეტის დაარსებიდან 30 წლისთავს.
10. პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება და მონაწილეობა.
11. მონაწილეობას ვღებულობ სამეცნიერო კონფერენციებში, როგორც მომხსენებელი.

■ იურიდიული ფაკულტეტი;

○ დიახ - 4

○ არა - 2

კომენტარი:

1. დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდების ზოგიერთი პრობლემა. სამცხე-ჯავახეთის სახ.უნ-ტი. ონლაინ კონფერენცია. 2020

■ ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი;

○ დიახ - 14

○ არა - 3

კომენტარი:

1. ხელმძღვანელობდი სამეცნიერო კონფერენციას, ვიღებდი აქტიურ მონაწილეობას ყველა ღონისძიებაში, რაც კი უნივერსიტეტში ჩატარდა, რამაც ხელი შემიწყო შემდგომი საქმიანობაში ფაკულტეტზე.
2. მონაწილეობა მივიღე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაში.
3. ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა სამეცნიერო ონლაინ (MOODLE პლატფორმა) კონფერენცია (12 ივნისი, 2020 ; მოხსენების თემა: დამსაქმებელთა პრობლემები და მათი ინტერესების დაკმაყოფილების შესაძლებლობები სამცხე-ჯავახეთში

- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.

⊙ დიახ - 7

⊙ არა - 1

კომენტარი:

1. მონაწილეობა მივიღე პროფესორ-მასწავლებელთა საუნივერსიტეტო საფაკულტეტო კონფერენციაში;
2. ჩემი ხელმძღვანელობით საკონფერენციო თემები მოამზადეს ფაკულტეტის სტუდენტებმა;
3. მუდმივად ვესწრები დაგეგმილ ონლაინ-შეხვედებს, ვებინარებს.
4. ბაკალავრების, მაგისტრებისა და დოქტორანტების მონაწილეობით მონაწილეობა მივიღეთ რაბათზე მოწყობილ სამეცნიერო პიკნიკში და უნივერსიტეტის მე- 2 კორპუსში მოვაწყვეთ ჩვენს მიერ დამუშავებული სამეცნიერო თემების რეკლამირება.
5. „მეცნიერება კაპიტანია“ - წიგნის პრეზენტაცია.
6. მოხსენება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო ონლაინ კონფერენციაზე, მიძღვნილი უნივერსიტეტის დაარსებიდან 30-წლისთავისადმი.

მიგნება:

აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეთა საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. ფაქტობრივ მდგომარეობას ისიც ემატება, რომ აკადემიური პერსონალის უმეტესობის ხელმძღვანელობით, სტუდენტები ამზადებენ თემებს ა მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში.

- 7) გაქვთ თუ არა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტისაგან მხარდაჭერა თქვენი სამეცნიერო პროდუქციის ბეჭდვაში?

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;

დიახ -28

არა - 4

კომენტარი:

1. ტრენინგები, რომელიც მჭირდება, დამოუკიდებლად გავდივარ ინტერნეტ-ვებინარების საშუალებით.
2. სამეცნიერო სტატიებს სისტემატურად ვბეჭდავ უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალ „გულანში“, აგრეთვე უნივერსიტეტის სტამბაში, 2010 წელს დაიბეჭდა ჩემი ორი წიგნი.
3. სამეცნიერო სტატიებს სისტემატურად ვბეჭდავ უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალ „გულანში“
4. საუნივერსიტეტო გამოცემებში ჩვენი სტატიები იბეჭდება

■ იურიდიული ფაკულტეტი;

- ⊙ დიახ- 6
- ⊙ არა - 0

■ ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი;

- ⊙ დიახ - 15
- ⊙ არა - 2

კომენტარი:

1. უნივერსიტეტი დამეხმარა სახელმძღვანელოს დაბეჭვდაში სრული დაფინანსებით.
2. ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით 2016 წელს უნივერსიტეტის გამომცემლობით გამოქვეყნდა ჩემი სახელმძღვანელო - „აუდიტის საფუძვლები“.
3. ვიცნობ დადგენილებას, რომელიც აკადემიურ პერსონალს ნაწილობრივ უფინანსებს ინჰარქტ ფაქტორიან ჟურნალში გამოცემას.
4. სამეცნიერო ჟურნალში გადაცემული მასალები იბეჭდება უფასოდ, ასევე უნივერსიტეტი აფინანსებს რეზიუმეების თარგმნას რუსულ და ინგლისურ ენაზე.

■ ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.

- ⊙ დიახ - 8
- ⊙ არა - 0

კომენტარი:

1. გამოქვეყნებული მაქვს უნივერსიტეტის სტამბაში მიწათმოქმედების ლაბორატორიულ პრაქტიკული სახელმძღვანელო..
2. სახელმძღვანელო „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ 2018წ.
3. უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაიბეჭდა სახელმძღვანელოები
4. სალექციო კურსის ბეჭვდა
5. ინფორმირებული ვარ მხარდაჭერის შესახებ, მაგრამ ჯერ არ მისარგებლია

მიგნება:

კითხვაზე, გაქვთ თუ არა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტისაგან მხარდაჭერა თქვენი სამეცნიერო პროდუქციის ბეჭდვაში, არცერთ უარყოფით პასუხს არ ველოდებოდით, საინტერესო მიგნებაა, პერსონალი, რომელიც უარყოფით პასუხს წერს არ არის ინფორმირებული აღნიშნული ხელშემწყობი მექანიზმების შესახებ, თუ არ უსარგებლია ან რატომ არ უსარგებლია?

8) გთხოვთ, დაასახელოთ კონკრეტულად რა სახის ტრენინგები გჭირდებათ თქვენი კვალიფიკაციის ასამაღლებლად?

■ **განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;**

კომენტარი:

1. სისტემატურად ვიმაღლებ ცოდნის დონეს ჩემს პროფესიაში, ვესწრები/ვატარებ ტრენინგებს ონლაინ.
2. მიმდინარე სიახლეების გაცნობა, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, უცხოური გამოცდილების მიღება/გაზიარება.
3. დიდი სიამოვნებით გავივლიდი ტრენინგებს ჩემი პროფესიის მიმართულებით, რაც სიახლეებთან არის დაკავშირებული-, რომელიც ხელს შემიწყობს კვალიფიკაციის ამაღლებაში.
4. მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებთან თანამშრომლობის მიმართულებით საერთაშორისო ვებინარებთან დაკავშირებული ტრენინგები
5. კურიკულუმების მომზადება, პროგრამის მომზადება შედგენა.
6. საგანმანათლებლო ორგანიზაციებში დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების გამოყენება.
7. ყველა სიახლე მნიშვნელოვანია, ისე რომ რასაც დაგეგმავს ხარისხის სამსახური, მივესალმები.

■ **იურიდიული ფაკულტეტი;**

■ **ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი;**

კომენტარი:

1. სასურველი იქნება ტრენინგის გავლა ფინანსურ მენეჯმენტში.
2. ამ ეტაპისათვის უნივერსიტეტში არ არის არცერთი საკითხი ტრენინგი რომ არ ჩატარებულიყო. აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით, არ ვსაჭიროებ. შემდგომში ვნახოთ.
3. საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში მუშაობა.
4. სწავლებისა და შეფასების თანამედროვე სტანდარტების დანერგვის თაობაზე (ანუ როგორ შევძლოთ უკეთესად დაგეგმილი ე.ი სილაბუსში გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.
5. ტრენინგები სტატისტიკური პროგრამების შესასწავლად.

6. კარგი იქნებოდა ტრენინგები ბიზნესის სამართალში, რათა გავცნობოდი სიახლეებს ამ სფეროში.

■ **ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.**

კომენტარი:

1. კარგი იქნება, თუ გავაგრძელებთ თანამშრომლობას ტრისდორფისა და ვაინშტეფანის უნივერსიტეტებთან (გერმანია) და კენტუკის უნივერსიტეტთან (აშშ).

მიგნება:

კომენტარების ნაწილში მითითებულია პერსონალს რა სახის ტრენინგები ესაჭიროება, კომენტარების ნაწილზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულია შეხვედრები და ტრენინგები. სწავლების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით ჩატარდა არაერთი ტრენინგი თვითონ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ საერთაშორისო სასწავლო გრანტებში მოპოვებული გამოცდილების გაზიარების სახით. საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში მუშაობის საკითხი ყოველთვის აქტუალურია, თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე. თუმცა აქაც უნდა აღვნიშნოთ, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელის მიერ ტარდება არაერთი ჯგუფური და ინდივიდუალური ტრენინგები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. რაც შეეხება კურიკულუმების მომზადებას, პროგრამების შედგენას, აღნიშნულ საკითხთან სისტემატურად იმართება შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, თუმცა ეს საკითხი იმდენად აქტუალურია, აუცილებლად გასათვალისწინებელია და დაიგეგმება უფრო ფართო მასშტაბიანი შეხვედრები საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან.

- 9) გთხოვთ, მიუთითოთ, თქვენი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, კონკრეტულად რომელ ოფიციალურ დაწესებულებებში გჭირდებათ მივლინება (წინამორბედი გამოკითხვის შედეგების დასაზუსტებლად)?

■ **განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;**

კომენტარი:

1. კარგი იქნებოდა მივლინება დიდ ბრიტანეთში და აშშ-ში ან ევროპის რომელიმე ქვეყანაში.
2. ადგილობრივ წარმატებულ და რომელიმე უცხოურ სასწავლებელში.
3. გერმანიის წამყვან კვლევით შესაბამის (ეთნოლოგია, რელიგიათმცოდნეობა) ინსტიტუტებში.
4. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რესპუბლიკის აკრედიტირებული უმაღლესი სახელმწიფო და კერძო სასწავლებლები.

5. მივლინება ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში და ლექციების პროცესში ჩართვა ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის შესახებ.

■ იურიდიული ფაკულტეტი;

■ ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი;

კომენტარი:

1. სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია
2. სასურველია მეზობელი ქვეყნების დაწესებულებებში ოფიციალური მივლინება

■ ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.

კომენტარი:

1. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრში
2. სამეცნიერო კვლევების შესრულება ეფუძნება თანამედროვე, ძვირად ღირებულ ექსპერიმენტულ ტექნიკას. ამდენად, ასეთი კვლევები ხორციელდება საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში. შესაბამისად, კვლევების გაგრძელებისათვის საჭიროა მოკლე (ერთი - ორი კვირა) და გრძელვადიანი (ერთი - სამი თვე) სამეცნიერო მივლინებები უცხოეთში (ინგლისი, ჰადერსფილდის უნივერსიტეტი), რომელთანაც მრავალათეულწლიანი სამეცნიერო ურთიერთობაა ჩამოყალიბებული. საჭიროა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე სამეცნიერო მოხსენებით მიწვევის შემთხვევაში მივლინების დაფინანსება.

მიგნება:

ფაკულტეტებიდან გამოიკვეთა ისეთი სახის მივლინებებისა და ტრენინგების საჭიროება, რომლის ორგანიზება-განხორციელებაში თვითონ ფაკულტეტების ადმინისტრაციის ჩართულობაა საჭირო. კომენტარების ნაწილში მითითებულია კონკრეტული ორგანიზაცია. პერსონალმა უნივერსიტეტის წინაშე ფაკულტეტიდან უნდა წარმოადგინოს დასაბუთებული მოთხოვნა მივლინების საჭიროებაზე. ზოგიერთი უცხოური უნივერსიტეტის გამოცდილების გაზიარება კი შეიძლება აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის ფარგლებში, რომლითაც არაერთ პერსონალს უსარგებლია.

10) უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის სასწავლო-სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა. რამდენად კმაყოფილი ხართ შეფასების აღნიშნული ფორმით?

■ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;

2. დიახ - 23

3. არა - 8

■ იურიდიული ფაკულტეტი;

○ დიახ- 5

- არა - 1
- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი;
- დიახ - 6
- არა - 2
- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.
- დიახ - 5
- არა - 3

მიგნება:

აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით 62 პერსონალიდან 14 დააფიქსირა, რომ ნაწილობრივ კმაყოფილები არიან. საინტერესოა ეს მიგნება, რადგან აკადემიური/მოწვეული პერსონალის სასწავლო წლის ანაგრიშისა და თვითშეფასების ფორმები სამსაჯელო იყო როგორც ფაკულტეტებისთვის, ასევე უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულებისთვის. უკუკავშირის მიღების შემდეგ წერილობით შემოსული მოსაზრებები ჩაემატა წარმოდგენილ ფორმას და მოდიფიცირდა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დოკუმენტის კიდევ უფრო დახვეწის მიზნით ახალი მოსაზრებები არ იქნება გათვალისწინებული. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ნაწილობრივი კმაყოფილების მიზეზი არ არის დაფიქსირებული.

11) რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი სავალდებულო აკადემიური დატვირთვით (სხვა მოსაზრება ხომ არ გააჩნიათ)?

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;

კომენტარი:

1. კარგი იქნებოდა შემცირებულიყო სავალდებულო დატვირთვა.
2. კარგი იქნებოდა, მომავალში სავალდებულო აკადემიური დატვირთვა თუ შემცირდებოდა (თუნდაც, მინიმუმ 2 საათით).

- იურიდიული ფაკულტეტი;
- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი;

კომენტარი:

1. სასურველია სავალდებულო დატვირთვის საათები შემცირდეს.
- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.

კომენტარი:

1. ჩემი აზრით, სრული პროფესორის კვირის დატვირთვა მაქსიმუმ 8 სთ-ზე მეტი არ უნდა იყოს.
2. Erasmus -ის პროექტებში მონაწილეობას უნდა მიეკუთვნოს გარკვეული ქულები.

მიგნება:

აკადემიური/მოწვეული პერსონალის სასწავლო წლის ანგარიშში უკუკავშირით მიღებული მოსაზრების შემდეგ შეტანილია საერთაშორისო სასწავლო

გრანტების/პროექტების ხელმძღვანელობა და ფასდება 200 საათით, ხოლო მონაწილეობა შეფასებულია 100 საათით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია მსჯელობა.

12) აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასებისთვის ხომ არ გსურთ დამატებითი მოთხოვნების განსაზღვრა, ან რაიმე ცვლილება?

კომენტარი:

კი! უნივერსიტეტისთვის პროფესორის მიერ მოტანილი ბენეფიტებისთვის (ინდივიდუალური, ეროვნული და საერთაშორისო სასწავლო პროექტები, კონტაქტების გაძლიერება, კურიკულუმების მოდერნიზება, ახალი ტრენინგ-კურსების მომზადება და დანერგვა საერთაშორისო პარტნიორობით, რომელიც ხელს უწყობს სწავლისა და სწავლების ხარისხის განვითარებას, უნდა მიენიჭოს გარკვეული ქულა, რათა წახალისდეს პროფესორი და მისი საქმიანობა გახდეს მეტად პროდუქტიული. პედაგოგების მიერ მოპოვებული საერთაშორისო სტიპენდიები (ფულბრაიტი, აირექსი, კოჰრანი, მაშავი..) მიმაჩნია რომ შეფასდეს გარკვეული ქულით.

მიგნება:

აკადემიური/მოწვეული პერსონალის სასწავლო წლის ანგარიშში უკუკავშირით მიღებული მოსაზრების შემდეგ შეტანილია საერთაშორისო სასწავლო გრანტების/პროექტების ხელმძღვანელობა და ფასდება 200 საათით, ხოლო მონაწილეობა შეფასებულია 100 საათით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია მსჯელობა.

13) როგორ შეაფასებდით თქვენს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემის მიხედვით (ერთიდან ხუთ ქულამდე)??

მიგნება:

აკადემიური მოწვეული პერსონალის უმრავლესობა დადებითად, ან მაღალი შეფასებით, 5 ქულით აფასებს თავის საქმიანობას, გარკვეული ნაწილი 4 ქულით, თუმცა უნდა აღნიშნოს, მათ აქვთ საკმაოდ მაღალი სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებელი, სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა სრულად შევსებული, ასევე აქვთ გარკვეული რაოდენობის არჩევითი პედაგოგიური საქმიანობაც შესრულებული. ალბათ იმსახურებენ ცალსახად მაღალ შეფასებებს.

უნდა აღნიშნოს რომ რამდენიმე პერსონალმა დააფიქსირა ჩანაწერი, რომ უხერხულია საკუთარი მუშაობის შეფასება. თვითონ კითხვარიც და აკადემიური/მოწვეული პერსონალის სასწავლო წლის ანგარიში სწორედ მათ

შეფასებას ემსახურება. სწორი თვითშეფასება მოტივაცია უფრო მაღალი შეფასების მიღწევისათვის და/ან კარგი მდგომარეობის შენარჩუნებისათვის. აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და სხვ. შეფასებები საფუძველია აკრედიტაციისა და ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშების.

16) მონაწილეობთ თუ არა სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებულ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებში, რომელიც ეხება ბიბლიომეტრული ბაზების გამოყენებას?

- დიახ - 58
- არა - 4

მიგნება:

ბიბლიომეტრული ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობდა გამოკითხულთა 93%, ხოლო 7% უარყოფითი პასუხი გასცა. მონაწილეთა მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დასტურდება უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებითაც.

17) გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი სასწავლო კურსის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საჭიროების შესახებ:

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კომენტარი:

1. უახლესი გამომცემლობები თეორიულ საგნებში, ახალი სახელმძღვანელოები, ტექნიკური საშუალებები.
2. ვიდეო მასალა მწერალთა შემომედეგების შესახებ.

- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

კომენტარი:

1. მატერიალური რესურსები სრულიად აკმაყოფილებს კურსების ეფექტურად განხორციელებისთვის არსებულ საჭიროებას.
2. მატერიალურ -ტექნიკური ბაზა საკმაოდ მოწესრიგებულია.
3. უნივერსიტეტში არსებული რესურსი საშუალებას მამლევს სასწავლო კურსი წარმატებით განვახორციელო.
4. კომპიუტერი, მონიტორი, ინტერნეტი ყველა კაბინეტში;

- იურიდიული ფაკულტეტი

1. ბიბლიოთეკაში არსებული იურიდიული ლიტერატურის განახლება;

2. უახლესი ლიტერატურა, მეტი აუდიტორიების აღჭურვა პროექტორით;

მიგნება:

სასწავლო კურსების წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საჭიროების შემთხვევაში გამოიკვეთა ისეთი სურვილები, რომლებიც კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს უნივერსიტეტის შესაბამისი რგოლების მხრიდან. თუმცა, ამჟამად, სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის უნივერსიტეტს აქვს საჭირო რესურსი.

17) გთხოვთ, დამატებით მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები.

კომენტარი:

აკადემიური პერსონალის შეფასების კითხვარში მიზანშეწონილად მიმაჩნია საერთაშორისო სასწავლო გრანტების (Erasmus+ CBHE-ინსტიტუციური განვითარების, ICM საერთაშორისო კრედიტ-მობილობის, JMD-ერთობლივი სამაგისტრო ხარისხის; Jean Monnet აქტივობებისა და პროექტების მოძიებისთვის აკადემიურ პერსონალზე ქულების მინიჭება. ასევე, ახალი სასწავლო კურსების მომზადების და მოდერნიზებისთვის, ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის შეთავაზებისთვის, საერთაშორისო, კარგი პრაქტიკის გაზიარებისთვის, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისთვის და სხვა მსგავსი აქტივობებისა და უნივერსიტეტისთვის პროფესორის მიერ მოტანილი ბენეფიტებისთვის, რომელიც ხელს უწყობს სწავლისა და სწავლების ხარისხის განვითარებას, უნდა მიენიჭოს გარკვეული ქულა, რათა გაიზარდოს პერსონალის მოტივაცია მსგავსი ტიპის აქტივობებში ჩართვის და მისი საქმიანობა გახდეს მეტად პროდუქტიული.

მიგნება:

აკადემიური/მოწვეული პერსონალის სასწავლო წლის ანგარიშში უკუკავშირით მიღებული მოსაზრების შემდეგ შეტანილია საერთაშორისო სასწავლო გრანტების/პროექტების ხელმძღვანელობა და ფასდება 200 საათით, ხოლო მონაწილეობა შეფასებულია 100 საათით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია მსჯელობა.

დასკვნები:

1. გასულ აკადემიურ წელთან შედარებით პერსონალის სასწავლო-სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემით კმაყოფილებისა და თვითშეფასების კვლევასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალის კმაყოფილება და თვითშეფასებების მაჩვენებლები საგრძნობლად გაზრდილია.
2. აკადემიურ პერსონალს პედაგოგიური და სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით გაცნობიერებული აქვს ტრენინგების საჭიროება, რაც მათ მაღალ აკადემიურ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს და რომელთა გარკვეული ნაწილის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მხრიდან შესაძლებელია.

3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან უნდა ჩატარდეს შეხვედრები; დეტალურად გააცნოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფისა და საგანმანათლებლო პროცესების განვითარების მიზნით სწავლა/სწავლების პროცესთან დაკავშირებულ კვლევებში პერსონალის ჩართულობის როლი, მათი უკუკავშირის მნიშვნელობა საუნივერსიტეტო საქმიანობაში.
4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების ფარგლებში, პროგრამების შემუშავებაში ჩართულ პერსონალთან (პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური/მოწვეული პერსონალი პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, დამხარე ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები) მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის გაცნობა.
5. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობას გაგებავნოს მიღებული კვლევის შედეგები შემდგომი რეაგირებისათვის.